ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3477331

ნომერი: AR1532292

თარიღი : 15.08.2017

გაცემის თარიღი : 21.08.2017

გაცნობის თარიღი : 22.08.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მეფე მირიანი , N 106ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2405139
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 27.01.2016

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური მოგახსენებთ, რომ 25.11.2015 წ. №2308838

ბრძანებით გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, სამშენებლო განვითარების მიზნად ფიქსირდება - ,, შენობის (ნაგებობის) სართულიანობა და გაბარიტები: გათვალისწინებული იქნეს მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული შენობის არქიტექტურა, სართულიანობა და გაბარიტები, ისე, რომ ნაგებობები აღიქმებოდეს ერთიან კომპლექსად;" აქვე გაცნობებთ, რომ მანსარდის სართული ითვლება სრულ სართულად, როდესაც მისი იატაკის ზედაპირის ფართობის 3/4-ის საშუალო სიმაღლე მანსარდის ჭერის კონსტრუქციის ქვედა ნიშნულამდე არის 2,4 მეტრი (მეათედის სიზუსტით) ან მეტი. გაითვალისწინეთ, რომ მანსარდი არის - სართული სხვენის სივრცეში, რომლის ფასადი მთლიანად ან ნაწილობრივ შედგენილია დახრილი ან/და ტეხილი სახურავის ზედაპირებით. ამასთანავე სახურავის სიბრტყისა და ფასადის გადაკვეთის ხაზი არ შეიძლება იყოს მანსარდის იატაკის გეგმარებითი ნიშნულიდან 1,6 მეტრზე მეტ სიმაღლეზე. 10.03.2017 წლის # AR1484669 განაცხადით წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ობიექტის მშენებლობა განხორციელდა პროექტის დარღვევით და ამ დარღვევების საფუძვრელზე მოხდა კ–2 კოეფიციენტის გადაჭარბება, რის შემდგომაც დამკვეთის მხრიდან დაყენებული იქნა მოთხოვნა ზონალურ საბჭოზე კ–2 კოეფიციენტის გაზრდის შესახებ. ვინაიდან მოთხოვნის საფუძველზე არ მომხდარა კ2 კოეფიციენტის მომატება, შესაბამისად სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობის დადასტურების შესახებ.
აღნიშნულიდან გამომდინარე განხორციელებული მშენებლობა ქალაქგეგმარებით პირობებთან შეუსაბამობაშია და სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.